

## ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 39/ს

ქ. მცხეთა

30 მაისი 2014 წელი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის N471 განკარგულების და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2014 წლის 11 აპრილის N01/1907 წერილის საფუძველზე, ერთი მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი“, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ რომელაშვილის ნუგზარის სახით, შემდგომში „მომწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1. სოფ. გალავანი - წინამძღვრიაანთკარის რიტუალების სახლის მშენებლობა- თანხით 33 137 ლარი.( CPV45200000).

### 2. სამუშაოს შესრულების ვადა და ღირებულება

- 2.1 სამუშაოს შესრულების ვადაა 2014 წლის 23 ნოემბრის ჩათვლით ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან;
- 2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 33 137 ( ოცდაცამეტათასასოცდაჩვიდმეტი) ლარი.

### 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით. ეტაპობრივად წარმოდგენილი ფორმა N2-ის მიხედვით და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

### 4. მხარეთა უფლება - მოვალეობები

- 4.1 „მომწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას:
- 4.1.1 შეასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
- 4.1.2 წარმოადგინოს შესრულებულ სამუშაოზე ექსპერტიზის დასკვნა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად.
- 4.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:
- 4.2.1 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

### 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

- 5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცავს ხელშეკრულების პირობები.
- 5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტის საკითხი.
- 5.3 სამუშაოს შესყიდვის არაჯეროვნად ან არ შესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნახაუროს სამუშაოს ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

### 6. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს მოახდენს მცხეთის მუნიციპალიტეტის სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახური. უფროსი ილია ოდიშელიძე და შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული.

### 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

### 8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის. გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 10. დაგები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დაგები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 თუ „მომწოდებელი“ და „შემსყიდველი“ მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეხდებიან მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2014 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი“

ი.მ „ნუგზარი რომელაშვილი“  
ს/კ 31001035423  
ბანკი: „ლიბერთი ბანკი“-ს  
მცხეთის ფილიალი  
ბ/კ LBRTGE22  
ა/ა GE82LB0112176972450000

მის: მცხეთის რაიონი სოფ.  
წინამძღვრიაანთკარი

ინდ. მეწარმე

ნ. რომელაშვილი

„შემსყიდველი“

მცხეთის მუნიციპალიტეტი  
ს/კოდი: 236094196  
ბანკი: „ლიბერთი ბანკი“-ს მცხეთის  
ფილიალი  
ბ/კ LBRTGE22  
ა/ა GE93LB0120130269077000

მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოადგილე

გ. ბატაშვილი

